# საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადება




**საქართველოში აშშ-ის საელჩო მთავრობის მუშაობის შეწყვეტაზე განცხადებას ავრცელებს, რომელიც დიპლომატიური მისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

*"აშშ- ის საელჩოს საკონსულო მომსახურება გაგრძელდება კონგრესის მიერ საბიუჯეტო სახსრების ასიგნირებამდე. თუ დანიშნული გაქვთ სავიზო გასაუბრება ან ამერიკის მოქალაქეთა მომსახურების თაობაზე შეხვედრა, გთხოვთ, გამოცხადდეთ საელჩოში შეთანხმებულ დროს. აშშ-ის მთავრობის მუშაობის აღდგენამდე ეს გვერდი რეგულარულად არ განახლდება, გარდა საგანგებო და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციისა,"- წერია განცხადებაში.*

19 იანვარს კენჭისყრის ჩავარდნის მიზეზი, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის დოკუმენტთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციების არსებობა გახდა. მთავრობის მუშაობა რამდენიმე დღის განმავლობაში პარალიზებული იყო. მოგვიანებით, კი დროებითი ბიუჯეტი მიიღეს, რომლის ვადაც 8 თებერვალს ამოიწურა. აშშ–ს კონგრესმა ბიუჯეტის დამტკიცება მეორე მცდელობითაც ვერ შეძლო. შედეგად, ქვეყნის მთავრობამ მუშაობა ისევ შეწყვიტა.